

S 72
1991



1991 6. 036000 № 6


Свет

დედა ჩიტის ნატვრა

აზნაი კვიციანი

ოთხი ბარტი გამოვჩქეე,
 გამსდარი და ჭიორაო,
 ნეტა მალე გამოვსარდო, —
 ამბობს ჩიტი-ჩიორაო.
 ვეზიდები ჭიაღუსს,
 თავს ვეველები,
 ვწვალბო ადგენს,
 იმედი მაქვს, ფრენას, ჭიკჭიკს
 ისწავლიან საფსულადე.
 ვნატრობ იმ დღეს, მათთან ერთად
 რომ დავივლი მთას და მდელს...
 გულით მიხდა — ვუგალობოთ
 თავისუფალ საქართველოს.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



პიღვე პიში პაროპელი

ნესთან კუარავა

ეველამ გულით გაიხარა,
 ციდა ბიჭი დაიბადა,
 სინარულით გაიბადრა
 მშობლიური მთა-ველი:
 — შეეძინა საქართველოს
 კიდევ ერთი ქართველი!



19. 7. 33



მინა

ვლადიმერ ასლაბაზაშვილი

მხატვარი თამაზ სუციშვილი

ერთმა ღარიბ-ღატაკმა კაცმა, ბევრს რომ მუშაობდა და ცოტა სარგებელი ჰქონდა, თქვა, წაფალ სხვა ქვეყანაში, ბელსა ვცდი, იქნებ იმისთანა რამეს მოვეწიო, გავმდიდრდეთ; მეუღლეს საგზალი გააშაადებინა, ხელსახოცში თავისი კარ-მიდამოს ორიოდე მუჭა მიწა გამოკრა, უბეში ჩაიდო და გზას გაუდგა.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა. ის საგზალი მალე შემოეჭამა და უცხო ქვეყანას მშვიერი მიადგა. ხან ვის ეხვეწა მოჯამაგირედ დამიყენო, ხან ვის. ბოლოს ერთმა მდიდარმა, ოღონდ საშინლად ძუნწმა კაცმა დაიყენა მოჯამაგირედ, თანაც იმ პირობით, რომ დღეში ერთხელ აჭმევდა ხმელა პურს, ხოლო შრომის გასამრჯელოს წლის ბოლოს მისცემდა.

დასთანხმდა ისიც. სამუშაოდ დილით ადრე მიდიოდა ყანაში. ისადილებდა დღეში ერთხელ ხმელა პურით და გვიან საღამოთი ბრუნდებოდა, მშვიერ-მწყურვლად საბძელში იძინებდა.

ასე მეორდებოდა ყოველდღე. სხვა იმ კაცის ადგილას რომ ყოფილიყო, ძუნწს გაექცეოდა. მშვიერი თავს ხომ არ მოიკლავდა? მაგრამ მოჯამაგირე ფეხსაც არ იცვლიდა. დილით ისევ ხალისიანად იღვიძებდა და ისე ყონადად მიაბიჯებდა ყანაში, გვეგონებოდათ, გემირიელი საუნებით დანაყრებულათ.

— ნეტავი რა აძლებინებს ამ საცოლავს? მიკვირს შიმშილით სული არ სძვრებათ! — თქვა ძუნწმა და ჰკითხა:

— ამდენს რომ შრომობ, ერთგულად მეძსახურები და დღეში ერთხელ ხმელა პურს ჭამ, რა გაძლებინებს, რატო შიმშილით არ კვდებიო?

— რა მაძლებინებს და აი ესაო! — მოჯამაგირემ უბიდან ხელსახოცში გამოკრული მიწა ამოიღო, — ამის მადლი და ძალა რომ არა, აქამდე შენთან რა მიწნდოდა, შიმშილით რატომ მოგაკვლევინებოდი, გაგექცეოდიო!

საქართველოს
მეცნიერებათა
აქადემიის შტაბი

— განა რა მადლი და ძალა სცხია მაგ ერთ მუჭა მიწას?! — გაუკვირდა ძუნწს.

— ლამე რომ ვიძინებ, ღამაზ სიზმრებს ვხედავ. სულ ჩემს ცოლ-შვილთან ვარ, იმათთან ერთად ვუზივარ მაგიდას, წინ ლობიოს შეჭამანდით სავსე ჯამი მიდგა, ხელში შოთი პურის ყუბა მიჭირავს და მადიანად ვილუკვები! — მიუჯო მოჯამავირემ.

ძუნწი იოს ძუნწია, სხვისი რომ არ შეშურდეს. ერთ ღამეს მოჯამავირეს, როცა ის ღამაზ სიზმარს ხედავდა, უბიდან ხელსახოცში გამოკრული მიწა მოჰპარა და იმის მაგვირად სხვა მიწა ჩაუღო.

იმ ღამეს რაღა იქნებოდა და მეორე ღამეს ცუდად ეძინა მოჯამავირეს, დაესიზმრა საშინელებები, აღარც ცოლ-შვილი, აღარც ლობიოს შეჭამანდით სავსე ჯამი; შოთი პურის ნაცვლად ხელში თვალმბაკუსული ბაყაყი ეჭირა, მის გარშემო ჭრული, შხამიანი გველები იკლავებოდნენ, ენებს ასავსავებდნენ და საკებნად ეტანებოდნენ.

დილა რომ გათენდა, მოჯამავირე იმისთანა მშვიერი და დაუძღურებული ადგა, მუხლთ გვეთებოდა, ყანაში ძლივს წალასლასდა.

— რა მომივიდა, კაცო, რა ჭირი დამემართა, შიმშილით რომ გადავალაწაწდი და ჯან-ღონე გამომქვია, ჩემი სხლის მიწა ხომ არ შემომწყრაო? — ამოიღო უბიდან ხელსახოცი, გადაშალა-გადმოშალა, დახედა და პირკატა ეცა, სხვა მიწა იყო ხელსახოცში გამოხვეული. სადღა იყო ის ნაცნობი, ძალ-ღონის მომნიჭებელი მიწის სურნელი, გულს საამურად რომ აუძგერებდა, სულთან-ხორციანად შესძრავდა, სახლკარს გაახსენებდა, ტკბილ ზმანებებს მოჰგვრიდა.

მიხვდა, ვისი ოინებიც იყო. ძუნწთან რაღა გააჩერებდა, მიატოვა ის უცხო მხარე, ოჯახს დაუბრუნდა და ცოლ-შვილს უთხრა: გახსოვდეთ, ძვირფასებო, დიდი სიცოცხლის მომნიჭებელი ძალა ჰქონია მშობელ მიწას. ბედნერიია ის, ვისაც ზურგი არასოდეს შეუქცვია მისთვის და იცის მისი ფასიო.

ნაღვლიანი საქანელები

პარლო არსინაშვილი

მხატვარი ვაჟა ქარხული

ტყისმცველ გიგას არ იცნობ? საიდან გეცნობება, როცა ყოველ დილას თეთრონს მიაგედლებს მთის ფერდობებისკენ. მთელ დღეს იქ აღამებს. ყოველ ბუჩქსა და ხეს სათუთად ელოლიავება. ათასი მავნე და ავი სულისაგან იცავს. ჩვენი სოფლის ტყე იმიტომაც გამოიყურება ლურჯად, რომ ხშირია და კარგად შენახული.

არც სოსიკო გინახავს. რუსთავეში ფოლადს ადნობს. ფოლადი ყველას სჭირდება. ახალი წყალსადენის მიღები იმ ფოლადისაა.

ოროვე კარგი. გამოჯე ადამიანია. დანაცადე და დაწვრილებით მოგიყვები. გიგა კინალან ხიფათს რომ გადაეყარა სოსიკოს წყალობით. ეს ხიფათი ჩემი ბავშვობის ნაღვლიან საქანელებთანაა დაკავშირებული.

გიგა, სოსიკო და მე ერთ კლასში



ვსწავლობდით.

ომი მძვინვარებდა.

ხან სოფლის თავში, ხან ბოლოში, ხან აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით ვილაც ატირდებოდა — ფრონტიდან ვაჟაკების დაღუპვის ცნობა მოდიოდა, გაუთავებელი ვაი და ვიში იდგა... მაგრამ ამაზე მოყლით თავს არ შეგაწყენ.

შენ რომ გაქვს, ისეთი ჩანთებისათვის თვალიც არ მოგვეკრა.

ჩვენ დედები ან ბებიები აბგებს გვიკრავდნენ ტილოს ქსოვილისაგან, ზოგის აბგა ნაცრისფერი იყო, ზოგისა — ყავის ან კრემისფერი. შიგ ვაწყობდით წიგნებსა და რვეულებს.


არც ავტომატური კალამი გვქონდა და არც პასტა. სკოლაში სამელნეებს დავატარებდით. ბაწრის ბუდეში მოთავსებული სამელნე აბგის თანმაზე იყო ჩამოკიდებული. მოძრაობისას სამელნე ჭანჭუარებდა. პატარა საცობი მელანს ვერ აკავებდა. ჭიმიური სითხე ამოდიოდა, აბგის ქსოვილს უღენთავდა და წიგნების და რვეულების კიდეებს ალაქავებდა.

ჰოდა, მივდევთ მე და სოსიკო რიყის ნაპირს. წამოვეწიეთ გიგას. ჭორფლიან, გაყვითლებულ და დაღუულ გიგას მამა ომში დაედუპა. გიგას დედამ ქართველი ქალისთვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, ობოლი შვილი მიატოვა და სხვას გაჰყვა ცოლად. გიგას ბებია ზრდიდა.

მაინც ყოველთვის მხიარულ გიგას ჭიბეებში ხელები ჩაეწყო და მიიმდგროდა. მხარილღივ აბგა გადაეკიდა, აბგის თანმაზე გამონასკვული სამელნე ჭანაობდა. ვერ გაიგო, როგორ წამოვეწიეთ.

სოსიკომ ფანქრის სათლელი ამოიღო, სიმღერაში გართულ გიგას მიეპარა და სამელნის ჩამოსაკიდი გადაჭრა. სამელნე ქვას დაეცა და გასკდა.

გიგამ უცებ მოიხედა, აბგას სტაცა ხელი, შემდეგ იისფრად შედებულ ქვებს და-



ხედა. მიხვდა, ვისი ნამოქმედარიც იყო, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ მარცხენა ყბაში ლეწა დამნაშავეს, მერე ხელუკულმა მოუქნია, მარჯვენაში გაულაწუნა, მეც შემომიბღვირა და გაბრაზებულმა ნაბიჯს აუჩქარა.

— ბიჭი არ ვიყო, თუ არ განანო! — დამუქტარა სოსიკო, — ჩემ ბიძაშვილ გედევანს ვეტყვი, ის მიგბერტყავს.

— ფეხები არ მომჭამოს! — შემოსძახა გიგამ.

... ვბრუნდებით სკოლიდან. ბილიკი ბექობზე ადის. ბექობზე ახლაც დგას კაკლის ხე. იმ კაკლის ტოტზე საქანელა იყო ჩამოკიდებული. საქანელა არც თოკისა იყო და არც რკინისა. ჭიგოების მსგავს ღეროებს გამოთლიდნენ, დაბლა კოფოს გაუკეთებდნენ. ღეროებში სოლებს გაუყრიდნენ, რომლებსაც კოფო ეყრდნობოდა, და შინდის წნელით (შინდის წნელი ყველაზე გამძლეა) კაკალზე ჩამოჰკიდებდნენ.

ჰოდა, ვბრუნდებოდით სკოლიდან. გიგას სხვებისთვის დაესწრო და საქანელაზე ჭანაობდა. ბუქნს ჩაჰკრავდა, უფ-

რო მეტი ძალით გაქანდებოდა საქანელა, მიეხლებოდა კოფო მოპირდაპირე ტოტებს, ჩამოიწვედა უკან. ახლა აქეთა ტოტებს შეეხლებოდა. გიგა კიდევ ჩაჰკრავდა ბუქსნს. საქანელას ძალა მოემატებოდა და სწრაფად შეეხლებოდა კაკლის ტოტებს. ასეთი ძალით ქანაობას ვერავინ ბედავდა. ვიდექით და პირდაღებულნი შევცქეროდით. გიგა კი ბუქსნს არ წყვეტდა და თან ბებიას გასძახოდა, თითქოს ეუბნებოდა, ნახე, რა ყოჩაღი ვარო.

გიგანთ ერთოთახიანი ფიცრული სახლი ბეჭობზე იდგა. ბებო აივანზე გამოსულიყო, თან აღტაცებულნი იყო შვილიშვილის სიმკვირცხლით და თან შეშინებული: არ ჩამოვარდესო, პირჯვარს იწერდა.

გედევანიც გამოჩნდა. მეათე კლასს ამთავრებდა. თანაკლასელებთან ერთად მომუსაიფობდა (დიდი ბიჭები საქანელას არ კადრულობდნენ). ჩვენ გაგვისწორდა. სოსიკომ მაშინვე მიახალა: გიგამ მცემიაო.

გაჩერდა გედევანი და საქანელას ახედა:

— როგორ თუ გცემა?! არ გაუგია, ვი-

ნი ბიძაშვილი ხარ?

გიგა კი მხიარულად აგრძელებდა ქანაობას. ქანაობდა და არ იცოდა, რა ხიფათი ელოდა მიწაზე დაბრუნებულს.

წარმოვიდგინე, როგორ ჩაამწარებდა გედევანი საკუთარი სიყოჩაღით გამოწვეულ სიხარულს დაობლებულ ბავშვს, წარმოვიდგინე და ვიგრძენი, როგორ დამიწყო გულმა ბაგაბუგი.

გიგა კი ჩაჰკრავდა ბუქსნს, გასძახებდა ბებოს, წინ გაქანდებოდა. შეეხლებოდა მოპირდაპირე ტოტებს, დაბრუნდებოდა უკან, კიდევ ჩაჰკრავდა ბუქსნს.

— კი მაგრამ, რაღა გცემა? — შეეკითხა გედევანი სოსიკოს.

სოსიკოც დაწვრილებით მოუყვა.

— ეგაა მიზეზი? კი მაგრამ, მე რო ახლა მაგას ვცემო... — გედევანი გიგას შეჰყურებდა, — შენ რა შეგემატება? მარტო ბებო ჰყავს, სხვა არავინ. მამა ფრონტზე მოუკვდა. — გედევანი თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, — მეც დავამთავრებ სკოლას და ჯარში გამიწვევენ. მაგის მამას შვილი მაინც დარჩა... ეგეც არ იყოს, — ახლა კი დაჰყვირა სოსიკოს, — შენა ხარ დამნაშავე, შე გოგოსავით მაწაოკო, შენა!... — და მარჯვენა მოუქნია. ძლიერ კი არა, ოდნავ და დუნედ. სოსიკო ყოველი შემთხვევისათვის განზე გახტა.

გედევანი მართლაც არ დაბრუნებულა ომიდან.

მაშინ კი მე მარტო გიგაზე ვფიქრობდი, მიხაროდა, რომ გადაურჩა ხიფათს.


...გიგა ქანაობდა, ჩაბუქნავდა, გასძახებდა ბებოს — ერთადერთ იმედს, და მეჩვენებოდა, რომ ეს ძახილი მთელ სოფელს დასტრიალებდა, იჭრებოდა ყველა სახლში, გასდევდა მაყვლის ღობეებს, ისმოდა შორს — შარაზეც, ვენახებშიც, სახნავ-სათესშიც, მინდორშიც, და სწვდებოდა იმ ტყესაც, რომლის მცველადაც ის ახლა მუშაობს.



უფრო მშვენიერს რას ნახავ

ვაჟა ხორნაული

უფრო მშვენიერს რას ნახავ,
ვეღარ ვაშორებ მწერასა
ზენმელზე აბობლებულსა
ხევსურ ბიჭს გამახელსა,
კუნძვიით დაძმომებულსა,
ხუჭუჭას,
ხორბლის ფერასა.



ბაბრიქლი და ანა

მწვანე ფერდობზე ტუფები
ნერგებივითა დგანან:
ანა და გაბრიელი,
გაბრიელი და ანა.
ქვემოთ მდინარე სმაურობს,
ახლოს შრიალებს უანა —
თითქოს ორივე ეძახის
გაბრიელსა და ანას...
ღმერთო,
რა ღამაზებია,
კალმით ნახატებს ჰგვანან
ანა და გაბრიელი,
გაბრიელი და ანა.

შხატვარი მანანა მორჩილაძე

მოთხრობები ბიბლიის წმინდა ისტორიიდან


ია ბელიჩიძე

კაემის ბალი

პირველი ადამიანი ღმერთმა მოზრდილ კაცად შექმნა და მას ადამი დაარქვა. ღმერთი მოსიყვარულე მამასავით ზრუნავდა მასზე. მან ადამი შეიყვანა უმშვენიერეს სამოთხეში — ედემში და მისი პატრონობა დააგადა. ბალი საესე იყო ყოველგვარი მცენარეულით, შიგ ბინადრობდა ათასნაირი პირუტყვი, ადამმა ყველა ცხოველსა და ფრინველს მისცა განსაკუთრებული სახელი. მთელი ბუნება მას ემორჩილებოდა, მაგრამ ის მარტო იყო, რადგან გვერდით არ ჰყავდა თავისი მსგავსი არსება. ამიტომ ღმერთმა მას შეუქმნა ევა, რომელიც ადამს მეგობრობას უწყევდა.

ბალის შუაგულში იდგა ორი ხე: ხე სიცოცხლისა, და ხე სიკეთისა და ბოროტების მცენლობისა.

უფალმა უთხრა ადამსა და ევას: მომიცია




თქვენთვის ეს ბალი, იცხოვრეთ ბედნიერად, ჭამეთ რაც გინდათ, ოღონდ სიკეთისა და ბოროტების ცნობის ხის ნაყოფს ნუ შეჭამთ, თორემ მოკვდებით.

პირველი ადამიანები თუმცა სულ ოღნავ, მაგრამ მაინც ღმერთის მსგავსი არსებები იყვნენ. მათ მიინჭებოდა პქონდათ სიწმინდე, სიწრფელე, სიბრძნე და, რაც მთავარია, უკვდავება. ამავე დროს ისინი თავისუფლები იყვნენ. ღმერთს უნდოდა, ადამიანს თავის ნებით აერჩია ღმერთის გზა, მისი შემსწებით განვითარებულიყო და საბოლოოდ გამხდარიყო ღმერთის მსგავსი. უფალთან სიახლოვის გამო ადამიანთა ბედნიერება იყო სრული. მათ არ იცოდნენ დარდი, ავადმყოფობა, გულისწყრომა, სიძულვილი. მათ ტანზე არაფერი ემოსათ, მაგრამ ამის არ რცხვენოდან, რადგან პატარა ბავშვებივით უმანკოები იყვნენ.

ადამისა და ევას შაცოლვა

მაგრამ ადამიანთა ასეთი საამური ცხოვრება შემურდა უფლისაგან დაწყველილ ბო-



როტ ანგელოზს და გადაწყვიტა გაეუბნებინა ისინი. იგი გველად გადაიქცა და სამოთხეში შეძვრა.

გველმა ჰკითხა ევას: მართლა გითხრათ ღმერთმა, ბალის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთ? არა, — უპასუხა ქალმა, — მხოლოდ ედემის შუაგულში რომ დგას, იმ ხის ნაყოფის ჭამა აგვიკრძალა ღმერთმა, გვითხრა, თუ შეჭამოთ, მოკვდებით. მაშინ გველმა სცადა უფლის სიკეთეში დაეგჭვებინა ევა, და თქვა: კი არ მოკვდებით, თვალი აგვინლებათ და ღმერთივით ვველაფერთ გეცოდინებათო. ევამ შეხედა ხეს, მოეწონა მისი თვალწარმტაცი ნაყოფი, მოწყვიტა და შეჭამა. მერე ადამს მიაწოდა, იმანაც შეჭამა.

უეცრად მათ მართლაც აეჩილათ თვალი, მაგრამ ღმერთად ქვევის მაგიერ საშინლად შერცხვათ, დაინახეს თავიანთი სიტიტვლე, იგრძნეს, რა უსუსურები იყვნენ და შეეშინდათ ღმერთისა.

სამოთხიდან გააქვება

უფალმა დაუძანა ადამს და ევას და ურჩობისათვის პასუხი მოსთხოვა. სინანულის და



პატიების თხოვნის მაგიერ მათ თავის მართლება დაიწყეს, — გველმა გაგვებრიყვავო.

ღმერთმა დაწყველა გველი. ადამიანებს კი უთხრა: რაკი თქვენ არ გააფრთხეთ ჩემი სიტყვა, გაგიძნელდებათ ცხოვრება, ტანჯვით მოიპოვებთ საზრდოს, იავადმყოფებთ და ბოლოს მოკვდებითო. ამის შემდეგ ღმერთმა ისინი სამოთხიდან გააძევა და სიცოცხლის ხესთან მისასვლელი ჩაკეტა, რათა მათ ამ ხის ნაყოფიც არ შეეჭამათ და უკვდავნი არ გამხადრიყვნენ. ეს ადამიანთა სიყვარულის გამო გააკეთა უფალმა, რადგან უღმერთოდ მარადიული სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა დაუსრულებელი ტანჯვა.

ყოვლადმოწყალე ღმერთმა მთლად უნუგვმოდ არ დატოვა ადამი და ევა. იგი დაჰპირდა მათ, რომ დედამიწაზე გამოვზაფენიდა თავის ძეს, იესო ქრისტეს, რომელიც ყველა ადამიანის მაგიერ დაისჯებოდა, გამოსყიდინდა ადამიანებს სიკვდილის მონობისაგან და ამის შემდეგ მათ კვლავ შეეძლებოდათ ღმერთთან ერთად სამოთხეში ცხოვრება.




მხატვარი ელზარ ამგოპაძე

„ქიქის“ სამაგონო ქუჩაში


ადრიან დილით მივევები გზას.
გულში ფიქრი პიტრიალებს, ნაღველი მაწვება — ამ ქუ-
ჩებში დიდი ნიკო ფირსმანი დადიოდა.
დილის ათ საათზე გაკვეთილი მეწყება. ხატვას ვასწავლი.
განა ნიკალას ხატვას ასწავლიდნენ?
მე შინდა ხატვის სიუვარული გაუფლდითო ჩემს მოწაფეებს,
ვაგრძობინო სიღამაზე, შვეფარო ქვეყანა.
ვასწავლი ისე, რომ მათ ნიჭსა და მისწრაფებას ხელი არ
შევეშალო.



თარიგანაშვილი ბიორგბი 10 წლის.




მანბარაშვილი მანბიტო 9 წლის.



იანბაბელიძე ბიორგბი 10 წლის.




ნოზაჰე პოსტოვი 11 წლის.



იორაგაშვილი ნინო 11 წლის.

გვრიტიშვილი ზურა 10 წლის.



ღარაბაიე თინიკო 9 წლის.

ჩემი შეგირდები ძალიან ნიჭიერნი არიან, ყველა რომ ჩა-
მოვთვალე ეს გვერდი არ შეულოფა. მხოლოდ ზოგიერთებს გა-
მაოქვეყნებენ, არჩევანს რედაქციას ვანდობ.

ამ ნახატებში მათი სულია... ბავშვური სული... კარგად
დააკვირდით...

რუსუდან ტოგაშვილი

გვიმწიფს თუთა

ლია კობალაძე

გვიმწიფს თუთა,
გვიმწიფს თუთა,
დაგვეწვიოს, ვისაც უნდა...
უნდა, უნდა, თუთა უნდა,
გიგლა ბიჭი მობაკუნდა...
თუთა მწიფსო? —
მორბის ცისო,
თუთა მწიფსო? —

მორბის ანა,
— თვით ბადაგიც არ არისო
დათვლული თუთისთანა!
ეველას, ეველას უხმობს თვა,
სადაც ნაცნობ-მოკეთვა:
მოზრმანდითო,
თუთა მწიფსო,
თუთას შაქარწვეკნი სდისო.
მოდით, მოდით,
ლივა, ნივა,
სოფო, სოსო, თათო, თივა,
მოდით, მოდით,

ქართლოს, ქეთო,
ტუბილი თუთა იგუქეთო...
ხეხე ჩიტო შემოსკუნდა
გრძელნისკარტა, მოკლეკუდა,
სულ სათუთად,
სულ სათუთად
შეარნია ჩიტმა თუთა...
ცვივა, ცვივა ზანტა-პუნტიო
და ივსება მოლი თუთით...
გვიმწიფს თუთა,
გვიმწიფს თუთა,
დაგვეწვიოს, ვისაც უნდა...

საქართველო
ბავშვთა ლიტერატურის
ცენტრის
გრაფიკული
სტუდია

პაპა სულმნათი

ალექსანდრე დიდუბავშილი

მხატვარი თამაზ სპივილი

წინაწარმებს მუდამ ვისსენებთ,
 ამაყები ვართ ვისითაც,
 ვინც ისტორიას გვიმშვენებს,
 ვისი ზეობაც გვიხიდავს.
 ასეთად იგიც მზიანობს, —
 თევდორე ერქვა სასულად,
 მემეტნიანე გვიამბობს,
 გმირი უოფილა რამსულა!
 შეიპყრო მტერმა მუსთალმა
 მღვდელი, საუღარში მლოცველი,
 წინ წაიძღვარა, უბრძანა:
 — გასწი, ხსნას ნულარ მოელი!..
 სწორად გვატარე, თუ არა
 შენს თავს ნახავენ მოცელილს.
 იმ თქვენს მეფესთან, იმ ბრძივთან,
 უმოკლესი გზით მიგვიყვან!..
 მიდის თევდორე... სხვარივად
 საფეთქლებს უტეხს ფიქრები:
 — იმდენი სჯული გავიქრათ,
 მოლაღობე არ ვიქნები...

ნეტავ, შეიტყოს მეფემა,
 მტერს განვარიდებ მანამდე,
 ჩემი სიკვდილი, ეგება,
 სამშობლოს შველად წაადგეს...
 მტრის ჯარი სევ-სუე იბნევა,
 სხვა გეზით, სხვა გზით მავალი...
 — შენ, ეი, საით მიგვაფართ! —
 ბოლოს დაუტკვდა მტარვალი...
 მისცვივდნენ სმლების მზივილით,
 დაჭრეს, მოხუცი დაცა!..
 თავისიანთა ეივილი
 მომაკვდავს ეურში ჩაესმა.
 მიეჭრა ქართველთ ლაშქარი,
 მტერს აურია დავთარი,
 ქლიტა ჩაღმომხანთ კრებული,
 ჩვენს მიწას დასარბებული...
 აი, ასეთი გვეოლია
 ზანა თევდორე სულმნათი,
 უშიშარს, ჯიშით გოლიათს,
 დიდ ქართველობას ვუმაღლით.



ქეთევან ჭილაშვილი—70



ქეთევან!
ქართველთათვის, და არა
მარტო ქართველთათვის, სა-

ხელს «ქეთევან» დიდად კეთილ-
შობილური ფერადობა აქვს.
ეს სახელი ერქვა ირანელების
მიერ წამებით მოკლულ ქართ-
ველ დედოფალს. ქრისტიანობამ
ქეთევანი მსოფლიოსათვის წა-
მებულ წმინდანთა სიაში შეი-
ტანა.

შეიძლება ესეცაა მიზეზი,
ქეთევან ჭილაშვილი რომ ესო-
დენი სიმშვიდით და თავმდაბ-
ლობით არის გამორჩეული.

ქეთევანის პირველი მითხ-
რობა დაიბეჭდა 1945 წელს «ურ-

ნალ «დილაში». პირველი წიგ-
ნი «პატარა მეგობარს» გამოვი-
და 1953 წელს. გამოცემული
აქვს 15 წიგნი. ქალბატონი ქე-
თევანი თითქოსდა თავის გრძე-
ულ ხელებს უახლოებს ბავშ-
ვებს; ბავშვთა ღიმილი უნა-
თებს, ულამაზებს სახეს, ვულო-
ცავთ კიდევ ერთი ათწლეულის
დამრგვალებას, კვლავაც დიდ-
ხანს ყოფილიყოს ასეთი. ჩვენი
რედაქცია მადლიერებით ბეჭ-
დავს მის ახალ მითხრობას
«გმადლობთ, ჩიტუნებო!»

გაგალობი, ჩიტუნებო!

ქეთევან ჭილაშვილი

მხატვარი ნანა ალიბაგაშვილი

რა დასამაია, ვატოს დილისძილი გაუტკებდა
ხოლმე. საათს კი ეს სულაც არ ვკითხვბა, მიდის დრო
და მიცოცავენ ისრები.

— ვატო, აბა წამოფრინდი, რვა საათია! — და-
გნბაურა ბებო.

— ჯერ ვერ ავდგები, გველეშაპს ვებრძვი, — ვა-
ტომ ცალი თვალით გამოსიხედა საბანქვემოდან.

— პოო, რაკი ასეა, ბარემ დაანარცხე მიწას და ისე
ადექი! — შეიფერა ბებომ ვატოს პასუხი, პიჭი რა-
ინდობაზე ოცნებობსო!

საათი კი, — ტიკ, ტაკ... ტიკ, ტაკ... «ბრძოლის»
დრო ამოიწურა, ბებომ ვატოს საბანი გადახადა, მარ-
ჯვენა ხელი აუწია, — გველეშაპზე გამარჯვენა მომი-
ლოცინათ, და დააქარა, — სკოლაში არ დაგაგვიან-
დესო.

ვატომ თვალები მოიფშვინტა და ამოიბზლუკუ-
ნა:

- ვერ წავალ სკოლაში...
- ვითომ რატომია? — გაოცდა ბებო.
- იმიტომ რომ... გველეშაპმა ფეხზე მიკბინა...
- უო, მომიკვდეს თავი, ჩქარა წამალი, ბამბა, —
ვითომ აფორაქდა ბებო, — მიჩვენე, სად გიკბინა,
ითლი წავცხო...

ითლის ვაგონებაზე ვატო უცებ გამხიარულდა.
— განა მართლა, ბებო. ის მომეროდა? კუდიო

ქვა ვასოლინე! — ყვირით წამოხტა და თვალისდა-
ხამხამებაში წასასვლელად გამოეწყო. საუზმეზე კი
უკაცრავად... ცხრას წუთები აკლდა; ზურგზე ჩან-
თა მოიღობ და ვაშლის ხრამახრუმით სკოლისაკენ
გაეშურა.

ასე ერკინებოდა ვატო ყოველ დილით სიზმარ-
ცხადში ხან ურჩხულებს, ხან ცხრათავა დევებს, ხან
ლომებს და ვფხვებებს...

მელოებთან და კურდღლებთან ჭიდილი რა მისი
საკადრისი იყო, ასის ფარგლებში ისე აკლებდა და
უმატებდა რიცხვებს, თვალს არ ახამხამებდა.

ასე იყო თუ ისე, ნათქვამია: მიზეზ-მიზეზო...
ბებოს ეჭვი შეეპარა, გოლიათები ძილის გუდიდან
ხომ არა ძვრებოდნენ, თანაც მაინცა და მაინც სწო-
რედ იმ დროს, როცა ვატო უნდა ამდგარიყო? ძილის
გუდაში ხომ სიზარმავე აზრბილებს თავის საცრისო-
დენა თვალებს! ბებო საგონებელში ჩაეარდა, რა ელო-
ნა, როგორ ეხსნა შვილიშვილი იმის ბრჭყალებიდან?

... და აი, ერთ დილით, ფანჯრის მინას ჩიტუნებმა
აუტყნეს კაკუნი.

— ვინ გვიკაკუნებს? — ლოგნობი წამოხდა გაოცე-
ბული ვატო და მიხიბდ-მოხიბდა.

— ვინ და ჩიტუნები! — დაანახვა ბებომ აჟივფივე-
ბული ფრთოსნები.

— რატომ გვიკაკუნებენ? — პერანგისამარა მიიჭ-



რა ბიჭუნა ფანჯარასთან და ახლა თვითონ მიუკაკუნა.

— შენ გაგაღვიძეს, ვილაცას დაუნიფლია, ვატო ცოტა ძილისგუდაო, ცოტა ზარმაცგუდაო.

— არაფერიც! არ დაიჯერო, ბებო! შიათ და იმიტომ მოგვიკაკუნეს, არა, ჩიტებო?

ვატოს სულ გადააფიწვდა გველეშაპიც და მისი აენაჟანიც. ხელად დაფშენა პურის გული და ჩიტუ-

ნებს ციმციმ მიართვა დილის საუზმედ...

ის დღე იყო და ის დღე, ფანჯრის რაფაზე ყოველ დილით ვეარა პურის ნამცეცები, სამაგიეროდ და სამადლობულოდ კი ჩიტუნებმა ციმციმ წააცანცალეს ვატოს ძილისგუდა და იმდენი ძიძგნეს, სანამ სულ არ დაიწუტა, ჩაიწუტა და ფაფუ! მოგვამათ ჭირი.

მატარებელი

გურამ კოხჩიაშვილი



„ჩუქუ-ჩუქუს“ მიიმღერის,
სხვა არ იცის მოტივი,
სოფლისაგენ მიგვაქროლებს
ჩქარი ლოკომოტივი...
მატარებლის მივეზარს კუბუ,
ოღონდ ზევით შემასკუპუ.

ორი ნანა

სირა ჰიტიაშვილი

ნანა შვილო, ნანაო,
ვინ შეავს შენისთანაო,
გენაცვალე მადამიო,
მამას ჰგავსნარ ჭამამიო...

ჩაირბინე ჭვალამიო,
იქ დაგხვდება კრავი,
წავლიჯუ თავი.

ნანა შვილო, ნანაო,
ვინ შეავს შენისთანაო.

გენაცვალე ღონეშიო,
გავგზავნი ღორებშიო,
საქმეს იხამ საქებსაო —
დალუჯ მსუქან ტახებსაო.

ნანა შვილო, ნანაო,
ვინ შეავს შენისთანაო...

გულბოროტი, სხსარული
ასე მღერის დედა შველი.

* * *

ნანა შვილო, ნანინანა,
დღეს რა შიმშა ამიტანა,
შემოგველე ღამაჲ ველზე,
ვერ გავიშვებ მარტოს ველზე,
ჩვენი სისხლის მსმელი
შეგვერება შველი.

ნანა, შვილო, ნანინანა,
ეს რა შიმშა ამიტანა,
ვერ გავიშვებ მარტოს მთაზე,
შემოგველე ღამაჲ თაფზე —
იმალება კლდეში ვეფხვი,
დაგეცემა როგორც მესი,
ნანა შვილო, ნანინანა,
ეს რა შიმშა ამიტანა...

მუდამ თვალებსველი
შვილს უმღერის შველი.



მოგზაურობა დღაიანის გარეშე

ტარიელ ჭანტუაია

ყოფი და არა იყო რა, ღვთის უკეთესი მართლაცდა რა იქნებოდა! იყო ერთი ღარიბი გლეხი. ათი შვილი ჰყავდა—ცხრა ქალი და ერთი — ვაჟი. ჭილოფის თღუნა საყანე მიწა ჰქონდა, ისე პატარა, რომ მართლაც ზღვა მისაკვლი რომ გამსკდარიყო, წვრილ-შვილს მაინც ვერ გამოკვებავდა.

იჯდა ერთ დღეს საწყალი კაცი კერძთან, მწარედ ჩაფიქრებული. ცოლმა უთხრა, რა თავპირი ჩამოგტირის, ვაჟკაცი არა ხარ? ადუ, მიდევ-მოდექი, სოფელში გაიარე, იქნებ ბედს რასმე ვწიოთ. ძლივს ათრია საცოდავმა შვილი, ისე უფუნებოდ იყო, მაგრამ მაინც დაუჯერა ცოლს, ხელში არგანი დაიჭირა, თრით დღის საგზალი გამოიწყო და გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მდინარეს მიადგა. უცებ სასწორაკეთილი ყვირილის ხმა შემოესმა, მიმვლეთ, მიმვლეთო. გაიხედა და რას ხედავს, ბიჭი იხრობა. გლეხი არც დაფიქრებულა, მდინარეში ტანსაცმლიანად გადაეშვა და მალე ის ბიჭი ნაპირზე სალსალამათი და უგნებელი გამოიფანა. თვითონ ხონა გაიხადა, ქალამნებიდანაც წყალი დაბერტყა და თრთვე იქვე, გახაშობად დააწყო. თავად კი ისევ ფიტის მიეცა, ვგლა მაკლდა, ვგლა მინდოდაო.

დახრობას გადარჩენილმა ბიჭმა შინსაკენ ისე მოუსვა, რომ თავისი მხსნელისთვის მადლობაც კი არ უთქვამს.

ათოდ წუთიც არ იქნებოდა გასული ამ ამბიდან, რომ გახაშობად ჩამოხჯდარ გლეხს თავს რამდენიმე კაცი წაადგა. თურმე ხელმწიფის ნაზირ-ვეზირები ყოფილიყვნენ. რომ იხრობოდა, ის ბიჭი, უფლისწულის ყოფილა, და ხელმწიფის უბრძანებია, წადით და ჩემი შვილის გადამრჩენელი აქ მომგვარეთ, უნდა მდიდრულად დავასაჩუქროთ.

ადგა გლეხი, ჩაიცვა ნახევრად სველი ჩონა, წაპყო ფეხები ნახევრად სველ ქალამნებში და მაჰვცა ნაზირ-ვეზირებს.

ხელმწიფემ მადლობა უთხრა გლეხს უფლისწულის გადარჩენისათვის და გამოუცხადა, აბა, თვითონ მიბრძანე, რით დაგასაჩუქროთ.

— დიდებული ხელმწიფეო, — უთხრა გლეხმა, — ათი შვილი მყავს, მიწა კი ერთი ჭილოფის ტოლა მაქვს. იქნებ ცოტა მიწა მიწყოლობოთ.


კარგით, — დიდსულოვნად გაუღიმა შვილის გადარჩენით გახარებულმა ხელმწიფემ. — შენ თვითონ მოიხიბე მიწა, რამდენი გინდაო. წადი, იარე. ჩემი ვეზირები გამოგვებიან, და სადაც გაჩერდები, იქამდე ის მიწა შენი იქნებაო.

გახარებული გლეხი მამსნე გზას დაადგა. ვეზირები თან გაჰყვნენ.

ხარბი აღმოჩნდა ღარიბი გლეხი, არ იქნა, ვერ გაძღა მისი გული მიწით, სულ წინ და წინ მიიწევდა. ცხრა მთა გადაიარა ვეზირებთან ერთად, ცხრა ზღვა

გადაცურა, მაგრამ გაჩერება არც უფიქრია — ახალი ცხრა მთა გადაიარა, ახალი ცხრა ზღვა გადაცურა და მაინც წინ მიიწევდა — სურდა, რაც შეიძლება დიდი ყოფილიყო მიწა, რომელსაც ხელმწიფე საჩუქრად პირიღებოდა.

გადიღდა დღეები, თვეები, წლები, გლეხი და მისი მხლებელი ვეზირები კი მდიდოდნენ და მდიდოდნენ. ათასი ხივითი შეემთხვათ გზაში, უამრავი ფათერკა კი



გადაიტანეს, მაგრამ ისევ აგრძელებდნენ გზას.

ბევრი იარუს თუ ცოტა იარუს, — მე კი ვიცი, რომ მეტისმეტად ბევრი იარუს, — ერთ მშვენიერ დღეს ერთ მშვენიერ სასახლეს მიაღწენ.

— გავგულები, კაცო, ეს ხომ ჩვენი ხელმწიფის სასახლეაო, — შესძახა აღტაცებულმა და გახარებულმა ვეზირმა.

მართლაც, იმდენი ველოთ, ისევ იმ ადგილას მიხულოვნენ, საიდანაც წავიდნენ.

ამაზე მიხვდნენ, რომ დედამიწა თურემ მრგვალია: რომ ადგე და იარო, ბოლოს იმ ადგილას მიხვალ, საიდანაც წასულხარ!

ხელმწიფეს დიდად გაუკვირდა ეს ამბავი, მართლაც მრგვალი ყოფილა დედამიწათ. შეერდა, პირობა რო-

გორდა შევასრულოთო, იკითხა მეფემ, გამოდის, რომ მთელი დედამიწა შენ გეკუთვნისო, — გაუცინა გლეხს.

— არა, ხელმწიფეო, — უთხრა გლეხმა, — უკვე მიუხვდი, რომ სიხარბემ გადაძალო. მე მეტი არა მინდა რა, თქვენ თვითონ მომიზომით იმდენი მიწა, ჩემი ათი შევიღის სარჩენად მეფესო.


ხელმწიფემ უგლისწყლის მსსნელს მიწაც დიდი მიუზომა და სანუქრებიც მდიდრული უბოძა.

ცხოვრობდა ის გლეხი ათ შეილთან ერთად ბუნდინიერად და ყველას იმას უყვებოდა, რომ პირველად მან იმოგზაურა დედამიწის გარშემო და მანვე დაამტკიცა, ჩვენი დედამიწა მრგვალი რომაა.

ჭირი იქა,
ღნინი აქა!

მხატვარი ელზარე ამბოკაძე

მე



სამოთხიდან გაძევა

ცნობილი კომპოზიტორი ჯაკომო მეიერბერი ძალიან კეთილი კაცი იყო, გულმტკიცენული და სხვისი ჭირის თანაზიარი. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა მისმა მეგობარმა ჯოაკინო როსინიმ და როცა კი შეხვდებოდა, უსათუოდ წუწუნს დაიწყებდა ზოლმე — ჯანმრთელობას უჩიოდა, თუმცა ჩინებული ჯანმრთელობის პატრონი იყო. ერთხელ ჰკითხეს, რატომ იქცევი ასეო.

— რა ვქნა, — მიუგო როსინიმ მხიარულად, — ჯაკომოს ისე უყვარს სხვისი გაჭირვების თანაგრძნობა, რომ ამ სიამოვნებას ვერ მოვკლებო.

ბერლინის თეატრმა დასადგმელად მოამზადა მაქს შილინგის ოპერა. პრემიერის დღეს ერთმა მსახიობმა, რომელსაც ეს კომპოზიტორი არ უყვარდა, კულისებში გაკრულ აფიშას წააწერა: „მე ბეთოვენი, ვერდი, ბიუხე უფრო მომწონს“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მსახიობებმა დაინახეს, რომ აფიშაზე ამ სიტყვების ქვეშ ეწერა: „მეც. მაქს შილინგი.“





ქართული ენა

თეორიული გეგმა

მისი სხივებს დავდევ, ვტრიალებ, კალთებშეხეულ კაბითა, ზირი სავსე მაქვს, ჩიტებს! კუნძრით შავი აბითა.

პირობი წარათელი

მოცურავის ნაცვამს
ტომრით ვიღებ თავით,
იმ ტომარს საცვალს
ხან ვაცემე და ხან ვხდი.

ჩვენი ჟურნალი «დილა» თვეში 160 ათასი ცალი გამოსვლიდა.

ახლა, რომ კარგად იცით, ყველაფერი ჭირს, აღარც ქალღლი იშოვება, და ჟურნალ «დილას» 100 ათასი ცალით უპირებენ შემცირებას. უფრო კი იმიტომ, რომ ხელმომწერი არ გვყავს, სულ 40 ათასმა პავშემმა გამოიწერა ჟურნალი «დილა», თუმცა საქართველოში მილიონამდე თქვენი თანატოლი ცხოვრობს.

წარმთიდგინეთ, თუ ერთ კოლოპერატორულ ნამცხვარზე იტყვით უარს, ოთხ ან ხუთ ნომერ ჟურნალ «დილას» მიიღებთ.

ჩვენს ძვირფასო პავშეგებო, სთხოვეთ მშობლებს, ბებოებსა და ბაბუებს, გამოიწვიონ ჟურნალი «დილა».

ჟურნალი «დილა» თქვენი სულიერი საზრდა!

წიკოე

გამოდის 1904 წლიდან.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გა-
მომცემლობა «საქმობლო»

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: **მუხარამ აბო-
კაძე, მანანა ანთაძე, ლამარა ბაბუა,
სოსო ბოგიბერიძე, მერი დავითა-
შვილი, სოლომონ დემურსანაშვილი,
ლექია მრამე, გელა ლოსასიძე,
ამფალა შიშველიანი, ჯურჯანა ნა-
ღორაძე, თინათინ ნალაური (პ/შ.
მღვიანი), ბიბი ძეგლაძე, ბიბი ზი-
ანიაძე.**

სამხატვრო რედაქტორი
ბიორგი როინიანი

ტექნიკური რედაქტორი
მერი წარათელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის,
სტამბის — თბილისი, კახტაგის 14. ტელ:
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;
პ/შ, მღვიანის 93-10-32, 93-98-18; სახ.
რედაქტორის — 93-98-18; განყოფიე-
ბების 93-98-19.

გადაცა ასაწობად 11.03.91 წ. ხელმო-
წერილია დასაბუჯად 20.05. 91 წ., ქა-
ღალღის ზომა 60×90/16, ფიზ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა
№534.


ყდაზე ნახატი
მუხარამ აბოკაძისა

«Дида» («Утро») Отпечатано в типографии газетно-журнального издательства Грузии «Самшобло»

Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 141.500 Заказ №534.

6124/405



ვინ რაზე ოცნებობს